საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე - კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ბ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.04.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 050/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. დ.-ის მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. დ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 15 აპრილს საჩივრით მომართა ბ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. დ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, N46 საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, სადაც განთავსებული იყო მისი საცხოვრებელი სახლი, დამხმარე შენობა-ნაგებობები, მრავალწლიანი ნარგავები და რაგვი, განხორციელდა მანგანუმის მადნის მოპოვების სამთო სამუშაოები, როგორც მიწის ქვეშა, ასევე ღია კარიერული გადახსნითი წესით შპს „ჯ. მ.“-ს მიერ. სამთო სამუშაოების შედეგად საჩივრის ავტორს მიადგა ზიანი, ვინაიდან N46 საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე მდებარე ქონება მთლიანად განადგურდა. აღნიშნული დასტურდება შპს „ჯ. მ.“-ს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის საწარმო საქმიანობით მიყენებული ზიანის განმსაზღვრელი აქტი „მ 500“-ით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, თავდაპირველად აღნიშნულ ნაკვეთზე არსებული მარგანეცის დამუშავება-მოპოვება იგეგმებოდა სს „ჭ.“-ს მიერ. მიწის ნაკვეთის მესაკუთრისთვის სხვა უსაფრთხო ადგილი ვერ მოიძებნა, სამოსახლო ადგილის არარსებობის გამო. ასევე, ვერ იქნა უზრუნველყოფილი სახლის აშენება, რომელიც უნდა გადასცემოდა მომჩივანს საკუთრებაში და რისი ვალდებულებაც სს „ჭ.-ს“ ნაკისრი ჰქონდა გაერთიანების დირექტორის მ. ა.-ის ბრძანებით. შესაბამისად, ბ. გ.-მ მიმართა ჭიათურის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს 1997 წლის 03 ივლისის გადაწყვეტილებით სს „ჭ.-ს“ დააკისრა სახლის საფასურის - 49 797 ლარის გადახდა. მომჩივნის აზრით, სასამართლომ არ იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 1992 წლის N936 დადგენილებით, რომელი დადგენილებაც ზრდიდა საჩივრის ავტორისთვის მიყენებულ ზიანს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, მას მისაღები აქვს მრავალწლიანი ნარგავების განადგურებით მიყენებული ზიანის კომპენსაცია - 63 972 მანეთი, რომელიც საქართველოს მთავრობის 1992 წლის N936 დადგენილებით გაზრდილია ათჯერ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, შპს „ჯ. მ.-მ“ მოახერხა მისი ადვოკატის - ი. დ.-ის თავის სასარგებლოდ გამოყენება, რომელმაც ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების დრო გაუშვა. ამავდროულად, საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ი. დ.-მ მის ანგარიშზე არსებული იმ თანხიდან, რომელიც ჩარიცხული იყო შპს „ჯ. მ.“-ს მიერ, მისი თანხმობის გარეშე გაიტანა 2507.40 ლარი.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატ ი. დ.-ს საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ გადაუხადა 1350 ლარი.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

2.1 ადვოკატი ი. დ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

2.2 ბ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 15 აპრილს.

2.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017-2018 წლებში.

3. შემაჯამებელი დასკვნა

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, “დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე) “. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა ბ. გ.-მ უარი თქვა საჩივარზე 2019 წლის 24 მაისს განცხადებით, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ადვოკატ ი. დ.-ის მიმართ.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №050/19 ადვოკატ ი. დ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/